ვახტანგ ჯობაძე
კარლსბადი, კალიფორნია

ჩემი ხანმოკლე ასპირანტობა გიორგი ჩუბინაშვილთან

Notre coeur a froid
Et fait l'appel des absents

1940 წელი თბილისის უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი თარიღი იყო, რადგან ამ წელს კურსდამთავრებულთა "გამოშვება" ჰუმანიტარულ დარგებში ხარისხით ადრინდელ კურსდამთავრებულებს ჯობდა. ამ ხანაში მწერალთა კავშირში დაარსდა ე. წ. "ახალგაზრდა მწერალთა კავშირი", რომლის წევრები თითქმის მთლიანად სწორედ 1940 წლის "გამოშვების" ლიტერატურული ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ. ამას დაერთო უნივერსიტეტში და ნიკო მარის სახ. ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში ხელოვნების ისტორიის დარგში ასპირანტურის დაარსების არაჩვეულებრივი მოვლენა (თუმცა ორიოდ წლით ადრე უნივერსიტეტში სამი ასპირანტი იყო: გივი გაჩეჩილაძე ინგლისურ ფილოლოგიაში, ოთარ ჯინორია გერმანულ ფილოლოგიაში და მიხეილ კვესელავა ფრანგულ ფილოლოგიაში). ხელოვნების ისტორიის ასპირანტურის დაარსებაში საოცარი ის იყო, რომ უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის საგნები არ იკითხებოდა.

პირადად მე ხელოვნების ისტორია და საერთოდ სიძველეთმცოდნეობა ყოველთვის მიტაცებდა, ამიტომ ასპირანტურის დაარსებამდე რამდენიმე წლით მუზეუმში ვესტუმრე ბატონ გიორგი ჩუბინაშვილს. მისი კაბინეტის კარი მოკრძალებით შევაღე. ბატონმა გიორგიმ თვალი მომკრა, ღიმილით მიმიპატიჟა. მაგიდაზე გაშლილი წიგნები გვერდზე გადადო და მკითხა: "ჩტო უვას ნა დუშე მოლოდოი ჩელოვეკ?" მე მოკლედ მივუგე, რომ ხელოვნების ისტორიის სწავლა მსურს და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. თანაც დავძინე, რომ ჩემი წინაპრები ეკლესიების მშენებლები იყვნენ, მამაჩემი კი გრაფიკულ ხელოვნებაშია დაოსტატებული. ბატონი გიორგი ყურადღებით სმენის და წვერზე ხშირი ხელის მოსმის შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა: თუ თქვენ ხელოვნების ისტორიის შესწავლა გსურთ, რუსეთში უნდა წახვიდეთ ან დაიცადოთ და აქ შეიქმნება ასპირანტურა ხელოვნების ისტორიის დარგში. მანამდე კი, თუ გსურთ, მუზეუმში დაგნიშნავთ "ექსკურსოვოდად", რომ ხელოვნების ნიმუშებს გაეცნოთ. მე მაშინვე დავთანხმდი.

1940 წელს დადგა დრო ასპირანტურის დაარსებისა. ბატონმა გიორგიმ მითხრა, რომ ნ. მარის ინსტიტუტში, რომელიც მაშინ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში შედიოდა – ასპირანტურის მიღებაში კონკურსი იწყება და თუ გსურს, მონაწილეობა მიიღე. მე დიდი მადლობა მოვახსენე და მაშინვე შევუდექი გამოცდებისათვის მზადებას. მკვეთრად აღმებეჭდა მეხსიერებაში, რომ 1940 წლის ზაფხული მეტისმეტად ცხელი იყო, რაც გამოცდებისათვის მზადებას მიძნელებდა. ამას დაერთო ცნობა, რომ მარის ინსტიტუტის კონკურსში ხუთი თუ შვიდი კაცი ერთადერთი ადგილის მოსაპოვებლად მონაწილეობდა. დადგა გამოცდების დრო, ორიოდ საგანი კარგად ჩავაბარე. მაგრამ ჩავიჭერი ფილოსოფიის ისტორიაში, რადგან ვერ შევძელი მწიფე კაპიტალიზმის დამახასიათებელი ნიშნების სრულად და ზუსტად ჩამოთვლა. მაგრამ რადგან ნიშნების რიცხვით მე ჩემს კონკურენტებზე მეტი ქულები

მქონდა, დამინიშნეს მეორე გამოცდა. მცდიდა პროფ. მოსე გოგიბერიძე, რომელიც ჰეგელის ფილოსოფიის სისტემის და მეთოდის შესახებ მეკითხებოდა. გამოცდაში მივიღე ოთხიანი, რაც საკმარისი გამოდგა საბოლოო გამარჯვებისათვის. ამრიგად გავხდი ბატონ გიორგი ჩუბინაშვილის ერთადერთი ასპირანტი (მარის ინსტიტუტში ბატონ გიორგის მეორე ასპირანტი არ ჰყოლია). ჩემ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დასაწყისში ბატონ გიორგის ვხვდებოდი მარის ინსტიტუტში მ. ლერმონტოვის ქ. 182 – ში, სადაც ბატონი გიორგი მიდგენდა ჩვენი მუშაობის გეგმას. მაგრამ ჩემს თანადროულად უნივერსიტეტში ბატონი შალვა ამირანაშვილის თაოსნობითაც წარმოებდა ასპირანტურის გამოცდები, რის შედეგად ხუთი ასპირანტი იყო მიღებული (ლალი ჯაყახიშვილი, ნიკო ჩუბინაშვილი, ოთარ ფირალიშვილი და ორიც სხვა). ჩვენ ვხვდებოდით ჩვენ "სულიერ მშობლებს" ჯერ მუზეუმ "მეტეხში" და შემდეგ საქართველოს მუზეუმში. დასაწყისში ყველა ვხარობდით, რომ ჩვენმა სულიერმა მოძღვრებმა ასპირანტის გვირგვინები დაგვადგეს თავზე. მაგრამ საჭირო იყო საქმის წამოწყება, რაც ჟრუანტელს მგვრიდა. ენათმეცნიერების, ლიტერატურის ან ისტორიულ მეცნიერებათა დარგების ასპირანტები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, რადგან ასპირანტურა მათთვის იყო ხუთი წლის ლექციების და ამ დარგებში შეძენილი ცოდნის გაგრძელება, ჩვენ კი ასეთი აკადემიური მარაგი არ გვქონდა; დასაწყისშივე გამოაშკარავდა, რომ არცერთ ჩვენთაგანს ხელოვნების ისტორიაზე წარმოდგენაც კი არ გააჩნდა. ქართულ ხელოვნებაში ორიოდ წიგნი, თვით ხელოვნების საგნებიც კი არ მოგვეპოვებოდა. ზოგი ამ საგნებისა ინახებოდა თვით "მეტეხში", რომელსაც განაგებდა ბატონი იროდიონ სონღულაშვილი,- კაცი უაღრესად პატიოსანი, ქართულ სიძველეთა ერთგული დამცველი და დიდი პატრიოტი. ბატონი იროდიონი მასთან დაცულ ხელოვნების ნიმუშებს დიდი მონდომებით გვაჩვენებდა და თავის ცოდნას გვიზიარებდა.

სამწუხაროდ, ჩვენთვის არავის გაუზიარებია, თუ რა მოვალეობა ჰქონდა ასპირანტების მიმართ ბატონ შალვა ამირანაშვილს ან ბატონ გიორგი ჩუბინაშვილს, გარდა იმისა, რომ ბატონი შალვა განაგებდა ქართულ ხელოვნებას და ბატონი გიორგი იტალიის რენესანსს. მათი ჩვენდამი მიმართება არ ყოფილა ლექციების კითხვა, არც სემინარი. არც ერთ ჩვენთაგანს არ უწარმოებია კვლევა რაიმე თემაზე და არ წაუკითხია თავისი კვლევის შედეგები. ნებისმიერ ხელოვნების საგანზე ვსაუბრობდით, რასაც არ ჰქონდა ბოლო. მაგალითად, შეიძლება ითქვას, რომ ბატონი შალვა იშვიათად რჩებოდა კლასში ორი საათი. ხშირად არც მოდიოდა და არც გვატყობინებდა, რომ რაიმე მიზეზის გამო ვერ ან არ მოდიოდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ბატონ შალვას მრავალი საქმე ებარა. უფრო ხშირად "ცეკაში" გამოიძახებდნენ ხოლმე. ამ დროს დაავლებდა ხოლმე ხელს თავის ქაღალდებით გატენილ პორთფელს და საწვიმარს და ჩქარი ნაბიჯით მისთვის მირთმეული მწვანე ფერის ახალთახალი ავტომობილისაკენ გასწევდა, სადაც მას ელოდა სომეხი შოფერი. მისი საუბარიც ძნელი გასაგები იყო, რადგან ეს მძიმე წონის კაცი უფრო ჩიფჩიფებდა, ვიდრე მეტყველებდა. პიროვნულად კი ბატონი შალვა იყო უაღრესად კეთილი და გულთბილი ადამიანი, თუმც პარტიულ საქმეებში იმდენად იყო ჩაფლული, რომ სხვა საქმისთვის ნაკლები დრო რჩებოდა.

ქართული ხელოვნებისაგან განსხვავებით, ბატონი გიორგის დარგი, რომელიც ევროპის ხელოვნება, კერძოდ, იტალიის რენესანსი იყო, უსაშველო მდგომარეობაში გვაყენებდა. ამ დარგში არ გვქონდა არა მხოლოდ ზერელე ცოდნა მაინც, არამედ შესაფერი მუზეუმები, ლიტერატურა, დიაპოზიტივები და არც ტექნიკური ტერმინოლოგია. ორიოდ სტუდენტს თუ არ ჩავთვლით, რუსულის გარდა, არც ევროპული ენის მცოდნენი გვყავდა. აქა-იქ იგულვებოდა ანდრე მიშელის მსოფლიო ხელოვნების ისტორიის მეორე ტომში დაბეჭდილი გაბრიელ მილეს წერილი ან

დილის ბიზანტიის ხელოვნების ისტორია, მაგრამ ეს ნაშრომები, რომლებსაც მე და ლალი ეხმარობდით, არსებითად ბიზანტიას ეხებოდა. იტალიის რენესანსის შესახებ კი – რაც ბატონი გიორგის თემა იყო – არაეთარი ლიტერატურა არ იშოვებოდა, გარდა ერთი რუსულ ენაზე ნათარგმნ გერმანელი მეცნიერისა ეიოლფლინის "ხელოვნების ისტორიის საფუძვლები"-სა, რაც იყო ჩვენი აკადემიკოსობის ნამდვილი მალამო, სახარება, რაც გაზეპირებული გექონდა. მაგრამ ეს არ იყო რენესანსის სისტემატიური კურსი ანუ ისტორია. გარდა ამისა, თუ კაცს არ უსწავლია ბერძნულ – რომაული ხელოვნება ან ბერძნეთის კულტურა და ხელოვნება, იტალიის რენესანსის არსს ვერ ნასწავლება.

ბატონი გიორგი მეტისმეტად იყო საქმეებით დატვირთული, არა "ცეკა"-ში სტუმრობით, არამედ მუზეუმის ორგანიზაციით, საქართველოს სიძველეთა დაცვის საქმეებით, ასპირანტურის მოვლა-პატრონობით და საკუთარი მეცნიერული კვლევა-ძიებით. მე მგონია, 1940-42 წლები იყო დიდი მოვლენების და საქართველოს სწავლა-განათლების და მეცნიერული მოღვაწეობის მალალ კვარცხლბეკზე ატანის ხანა. ამ ხანაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, რომელიც რუსეთის მეც. აკადემიის ფილიალი იყო – დამოუკიდებლობა მიენიჭა. და ბატონი გიორგი ქართული ხელოვნების ინსტიტუტის შექმნისათვისაც იღვწოდა, რასაც მე ალარ მოესწრებიენარ.

ბატონი გიორგი ბატონ შალვასაგან მრავალმხრივ იყო განსხვავებული, როგორც პიროვნულად, ისე აკადემიური საქმიანობის მხრივ. ჩემი აზრით, მასში ადბეჭდილი იყო პეტერბურგში და საქსონიის უნივერსიტეტებში და აგრეთვე თავის სახელოვანი წინაპრებიდან მიღებული ღირსებები. ეს ნახდა მის წესრიგში, მოვალეობის ასრულებაში და მოქმედების სიზუსტეში. მაგალითად, მას ასპირანტებთან შეხვედრები ერთხელაც არ გაუცდენია, არც იგვიანებდა.

როგორც ალნიშნე, ასპირანტების პროგრამის სისუსტე გამოიხატებოდა ხელოვნების ისტორიაში თვით ასპირანტების სრულ უვიცობაში და ამ მთავარი ნაკლის გამოსწორების მეთოდში. ჩვენ გვქონდებოდა სხვადასხვა ეროვნების ხელოვნების ანბანი: ხუროთმოძღვრების, სკულპტურის და მხატვრობის ძეგლების ანალიზისათვის საჭირო ტერმინოლოგია და ყველაფერი ის, რაც სემინარებს თან ახლავს. აი, ამ მეცნიერული მარაგით უნდა დაგვეწყო ასპირანტურა, სადაც უმეტესი დრო დაიხარჯებოდა დღეს არსებული მეცნიერებათა კანდიდატის დისერტაციის დამუშავებაში. მაგრამ, როგორც ნანს, საამისო დრო არ იყო. საჭირო იყო სანქართოდ კადრების შექმნა და ამის მიხედვით უნდა ემოქმედათ ბატონ შალვას და ბატონ გიორგის. ბატონ გიორგისთან – სადაც მე მხოლოდ წელიწადნახევარი დავეკეი – ჩვენ იტალიის რენესანსის მხატვრების ანალიზში ვატარებდით დროს. რაც ჩვენთვის უცოდინარობის გამო იყო მეტისმეტად ძნელი. ყველაზე მეტი დრო მოვანდომეთ არც თუ დიდმნიშვნელოვანი მხატვრის, ბენვენუტო დე მაიანოს ნაწარმოებების ანალიზს. ყოველთვის, შემოვიდოდა თუ არა ბატონი გიორგი, ჩვენი სისხლის წნევა მატულობდა. ყველა ცდილობდა მისი თვალის აცილებას. მაგრამ "გასაქცევი" ადგილი არ იყო. ერთ ჩვენგანს დაუწყებდა კითხვების მიცემას და ყოველი ჩვენთაგანი ცდილობდა კარგი პასუხით ბატონი გიორგის გახარებას, რაც ძნელად მისაღწევი იყო. რატომღაც ბატონი გიორგი სხვებზე მეტად ეკითხებოდა ოთარ ფირალიშვილს, რომელიც იყო თხელი აგებულების კარგი შესახედი ყმაწვილი. ის არ იცვამდა ბაზარში ნაყიდ სამოსს, არამედ ტანსაცმელს აკერინებდა (თუ არ ეცდები ე.წ. "ნაშა პარტნიი"-ს) და ფეხსამოსს კი "საპოვნიკ სუმბათ"-ას (ასევე იყო მისი უფრო ახალგაზრდა ძმაც). შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბატონ გიორგის მისი კოპწიობა არ მოსწონდა. დაუწყებდა თუ არა შეკითხვებს, საბრალო ოთარი გაწითლდებოდა და თითქოს თრთოდა. თხელი, მოგრძო ცხვირიც ხანგამოშვებით ცქმუტაედა. ყოველი

ლირსნაკლული პასუხის შემდეგ ბატონი გიორგი თავის საკარძელში უფრო და უფრო მეტად იძირებოდა და ულაპის გრეხვას უმატებდა და ლრუტუნის მსგავს ხმას გამოსცემდა. ერთად ერთი შემმართებელი იყო ნიკო, რომელიც არა მხოლოდ შეკითხვებს პასუხობდა აუღელვებლად, არამედ მამამისს ნათქვამის საბუთს თხოულობდა: "ა ატკული ვიდნი ეტო", "პოსმეუ ეი ლუმაეტე ეტო"... უადგილო არ იქნება თუ დაეძენ, რომ ნიკო იყო არა მხოლოდ უმწიკელო პირიოენება და კეთილი ბუნების, არამედ ორიგინალური მოაზროვნე, რომელიც თავის კელევა-ძიებაში არა ნატკეპნ გზაზე დადიოდა, არამედ ყამირ მიწას ხნავდა, მაშინაც კი, როდესაც ეს სანიმუშოდ არ ითელებოდა.

წლის ბოლოს ბატონ გიორგის კიდევ რამდენჯერმე შევხვედი, რომ ნემი დისერტაციის თემა აგვერჩია და დაგვეგეგმა. ამ მხრივაც ის იყო მართლაც დიდი მზრუნველი, თავისი ცოდნის ხელგაშლილად გამზიარებელი, იმ თეისების მქონე, რასაც ნეენში კეთილშობილებას უწოდებდნენ. ნემი დისერტაციის თემა იყო: "სამცხის ათაბაგების პორტრეტული გამოსახულებები ჯულეში, საფარაში და ნარნმაში", რისი დაწყებაც კი არ დამცალდა, რადგან იმისდა მიუხედავად, რომ მე დედისერთა ეიყავი და აგრეთვე მეც. აკადემიის ასპირანტი, სათანადო უწყებებმა ეს უგულებელსყოეს და მექარით და წიხლის კვრით გამისტუმრეს ომში, რაც სინამდვილეში, გერმანელთა დიდი ძლიერების გამო, იყო ნამდვილი საკასბო. თბილისში კი დარჩნენ ზოგნი, რომელნიც ომში წასვლისაგან დაზღვეულნი არ ყოფილან. მე ომის ქარცეცხლში მოვექეცი, რეზო მარგიანი კი წერდა, თქვენ ვაკაცურად იბრძოლეთ და ნეენ თბილისს შეეფარებთ თავს და "ლექსის ეუმბარით დაგეხმარებით"-ო: ომისაგან თავის დაღწევის ქართული რეცეპტი.

1942 წლის დასაწყისში ომში მოხვედრილი, ტყვედ მოეხვედი გერმანელებთან. 1945 წელს ომის დამთავრებამდე უბრალო სტუდენტის დონეზე განეაგრძე სწავლა აღრეკრისტიანული ხელოვნების და არქეოლოგიის დარგზე ჯერ მშვენიერ და ომის მრისხანებისაგან თითქმის სრულიად დაუზიანებელ ქალაქ ფრაიბურგში (ბრაისგაუს მაზრაში), სადაც უნივერსიტეტის რექტორი იყო ოთხელ ზაუერი, ღმრთისნიერი კაცი ბრელატის ნინით და აეტორი ორჯერ გამოცემული მეტად სარგო წიგნისა, რომელიც არსებითად საეკლესიო ხუროთმოძღვრების სიმბოლიზმს ეხება. მან ორჯერ მიმიპატიჟა თავის სახლში სადილზე, სადაც ბატონი გიორგი დიდად შეაქო და თქვა, რომ ბატონმა გიორგიმ მას სხვადასხვა საჭირო წიგნი და მათ შორის ეკვარიოვას ექვსტომეული ტომი უბოძა. ბატონი ზაუერი მაშინ ჰენსიაში გასვლას აპირებდა და მითხრა, რომ ნემი სწავლა მის ნამოწაფარ, ეკლესიიდან განკეეთილ ალფონს მარია შნაიდერთან გამეგრძელებინა გოიტინგენში. სხვათა შორის, გოიტინგენის უნივერსიტეტში, პიდრაველიკის დარგში ლექციებს კითხულობდა ფიზიკის ალექსანდრე ნიკურაძის ძმა ვანო ნიკურაძე. შნაიდერმა სიხარულით მიმიღო, რადგან მას ნემს შესახებ ზაუერისაგან წერილი ჰქონდა მიღებული და იმიტომაც, რომ თავისი ლექციების განხორციელებისათვის ნემისთანა ადამიანის ნართვა სურდა. მისი ლექციების მთავარი თემა იყო: ლიტურგიის გაგლენა სირიის ეკლესიების აღნაგობაზე. მას ჰქონდა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მუნხენის უნივერსიტეტში ქართული და კავკასიური ხელოვნების კათედრის გახსნას. მან პირადად მითხრა, თქვენ იქნებით ამ საქმის გამგებელიო. მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა, რადგან მე ესპანეთის მეცნიერებათა აკადემიამ მიმიწვია და 1952 წელს ბატონი შნაიდერი ხირიაში რეინიგზის რიხოდაში ციბის ავადმყოფობით გარდაიცვალა. მუნხენის უნივერსიტეტში ქართული კათედრის გახსნა ფანტაზიის ნაყოფი არ ყოფილა, ბატონი შნაიდერი 1930-31 წლებში ქართველი მეცნიერების მიპატიჟებით ნოქალაქევის (არხეოპოლისის) გათხრებს აწარმოებდა და ბატონ გიორგისთანაც იყო დაახლოებული და მის მეცნიერულ ღირსებებს აფასებდა.

ი. სტრიგოვსკის ორი ტომი სომხეთის ხუროთმოძღვრების შესახებ ევროპის მეცნიერებმა სულმოუთქმელად მიიღეს და შთანთქეს. მხოლოდ ბატონი გიორგი იყო,რომელმაც გაბედა და ერცელი რეცენზიით სტრიგოვსკის თეორიები დაარღვია. სხვათა შორის, აქ შეიძლება დაეურთოთ ერთი საინტერესო ეპიზოდი: გერმანიაში მე ეიცნობდი სტრიგოვსკის ასისტენტ ქალს პალლე ფანინას, რომელმაც მითხრა, როდესაც სომხეთის არქიტექტურის ძეგლების შესასწავლად წაეველით, გამოირკვა, რომ ჩვენ საზომი იარაღის წამოღება დაგვიწყებია; ამიტომ ეკლესიებს სტრიგოვსკი თავისი ხელჯოხით ზომავდა და როცა ექსპედიციიდან დაებრუნდით, ამ ჯოხიდან მეტრებში გადაიტანა და ეკლესიის გეგმებში ასე დახაზავ.

1968 წელს ჩამოვედი კალიფორნიაში, სადაც დაგვხვდა ჩვენი ოჯახის ძველი მეგობარი გერმანიიდან. ეს იყო აწ გარდასული ისლამისტი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი კატერინა ოტტო–დორნი. ერთხელ კატერინამ მაჩვენა მისადმი ბატონი გიორგის მიერ მიწერილი ერცელი წერილი ეშხანის აღმოსავლეთი ნაწილის ნახაზით და ამ ადგილის თაობაზე მრავალი შეკითხვით. ადრე კატერინა თურქეთში იღვწოდა, მაგრამ ის არასოდეს ყოფილა ეშხანში, ამიტომ მთხოვა ამ წერილზე დაგვიანებული პასუხი გამეცა, რაც მე გავაკეთე. შემდეგ ბატონ გიორგისთან უალრესად გულთბილი მიმოწერა გავაბით.

Resume

Wakhtang Djobadze
My Post-graduate Studies with G. Chubinashvili

The author tells about the first group of art historians – post-graduate students in 1940-1941, about the general situation in the Georgian science at that period, characterizes G. Chubinashvili's method of work with the post-graduate students.